,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №363/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2025 წლის 6 ივნისის 118/01-01 ბრძანების საფუძველზე და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის 50/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N3 ოქმი

ქ. თბილისი თსუ-ის მე-3 კორპუსი, აუდიტორია 110 13 ოქტომბერი 2025 წელი

18:40 – 19:20 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი ერთის გამოკლებით:

1. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ირმა გრძელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ეფემია ხარაძე (კომისიის მდივანი);
4. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი დავით წამალაშვილი
5. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ჩიქოვანი

დღის წესრიგი:

1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №363/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2025 წლის 6 ივნისის 180/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოც. პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგების შეფასება. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მას ვაკანსიის პროფილით აქვს

დიდი ხნის გამოცდილება, ჩართულია საკონკურსო პროფილის კურსების განხორციელებაში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მისის პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებსა თუ საკონფერენციო მასალებში. გასაუბრების ეტაპზე კომისიის მიერ შეფასდა ქ-ნი ნინოს პროფესიული უნარ-ჩვევები, აკადემიური მსჯელობისა და ეთიკის კულტურა. მას გააზრებული აქვს საკუთარი როლი განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით და შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს აღნიშნულ დარგს. ამდენად, კომისია თვლის, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კომისიის ხელთ არსებული დოკუმენტაციისა და ოქმების გულდასმით გაცნობის, შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე. აღნიშნული კენჭისყრა ჩატარდა ყველა პროცედურული წესის დაცვით - მომზადდა და დარიგდა 5 ბიულეტენი, ბიულეტენის ჩასაყრელი ყუთი, რომელიც დაილუქა. კომისიის წევრებს სხდომის ოთახში ჰქონდათ საშუალება გამოყოფილ კუთხეში გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი და ბიულეტენი მოეთავსებინათ ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის წევრების მიერ გაიხსნა დალუქული ყუთი.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტში ასისტენტ პროფესორის („ა" კატეგორია) თანამდებობაზე ნინო ჩახუნაშვილი გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილების დასაბუთება:

ასისტენტ-პროფესორის 1(ერთი) აკადემიური თანამდებობა

პრეტენდენტი ნინო ჩახუნაშვილი წლებია უძღვება განათლების დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე პედაგოგიკისა და ბავშვთა უფლებების შესახებ სასწავლო კურსებს. მისი განათლება და კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება ასისტენტ პროფესორის თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. კონკურსანტის გამოცდილება, ღრმა პროფესიონალიზმი, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრული ჩართულობა, პროფესიული უნარ-ჩვევები, თვლადი აკადემიური მონაცემები და მიღწევები სრულად შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობასთან. შესაბამისად, მის აკადემიური პროფილი დაეხმარება განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარებას.

დაადგინეს:

- განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტში ასისტენტ-პროფესორის („ა" კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ქ-ნი ნინო ჩახუნაშვილი
- შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი №3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი / ზ. ქიტიაშვილი /

თავმჯდომარის მოადგილე: ასოცირებული პროფესორი ირმა გრძელიძე / ი. გრძელიძე /

წევრები:

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ჩიქოვანი / რ. ჩიქოვანი /

ასისტენტ პროფესორი დავით წამალაშვილი / [illegible] /

კომისიის მდივანი: ასისტენტ პროფესორი ეფემია ხარაძე / ე. ხარაძე /

13 ოქტომბერი 2025 წელი